სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

24/10/2024

MES 3 24 0001372658

ბრძანება

**,,სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრობის კანდიდატების შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების თაობაზე"
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის
2024 წლის 18 ოქტომბრის №1347413 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 23 ოქტომბრის №1370833 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრობის კანდიდატების შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების თაობაზე“ ცენტრის დირექტორის 2024 წლის 18 ოქტომბრის N1347413 ბრძანებაში და ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,4. განცხადების მიღება იწარმოებს ცენტრის ელექტრონული ფოსტის - jobs@eqe.ge - მეშვეობით 2024 წლის 18 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით.“.

2. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამსახურს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ქეთევან კობახიძე